



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY  
 აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL**

ოქმი № 15 „ 31 „ 10 2018 წ.

**დადგენილება № 68**

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 დეკემბრის N71 დადგენილებით დამტკიცებულ „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაში“, „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასა და ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში“ ცვლილებების შეტანის შესახებ


„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ დანართი N3-ის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტით გაანგარიშების წესი“-ს, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად:

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 25 დეკემბრის N71 დადგენილებით დამტკიცებულ:
  - ა) „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის“ VII და XVII თავში და პროგრამის აღნიშნული თავები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 1);
  - ბ) „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აგროტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ XI, XIII, XIV და XV თავში და პროგრამის აღნიშნული თავები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2);
  - გ) „სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ XI, XIII, XIV და XVI თავში და პროგრამის აღნიშნული თავები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 3);

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს შესაბამის ფაკულტეტებს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე